პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
ხუთშაბათი
5 ივლისი
№ 154 (17499)
ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის მეოთხე წელი

ხარისხი — დროის მოთხოვნა!

ახალი ნაკადური ხაზი

ბათუმი. (საკ. კორ.). ტრანსფორმატორების ქარხნის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტოდ იგზავნება. აქ ახლახან დაიდგა ახალი ნაკადური ხაზი — ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორების პოლიმერული დაფარვის მექანიკური ხაზი. იგი კონვეიერის შესაფრქვევი კამერისა და იქვსი ღუმელისაგან შედგება.

ახალი ხაზი ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს მასალების ხარჯვას, წარმოებიდან გამოდევნის მავნე გამხსნელებს, აუმჯობესებს სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს, ამაღლებს პროდუქციის ხარისხს. ამ სიახლის წლიური ეკონომიკური ეფექტი 17 ათასი მანეთია.

გათვალისწინებულია ასეთივე პოლიმერული დაფარვის მექანიზებული ხაზი უფრო დიდი სიმძლავრის ტრანსფორმატორების უბანზეც მოეწყოს.

მ. გორგილაძე.

თავდადებული შრომით

ტყიბული. (საკ. კორ.). მეათე ხუთწლედის პირველი დიდიანი დამკვრელურად შრომობს და ყველაზე მაღალ შრომითს წარმატებას აღწევს ლენინის სახელობის შახტის მეექვსე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი, რომელსაც ენთუზიასტი სამოელი მ. გვენეტაძე უდგას სათავეში. ამ პატარა კოლექტივმა დიდი საქმე გააკეთა. უბანმა ხუთწლედის განვლილ პერიოდში ასი ეშელონი ზეკეგებითი საკოქსე ქვანახშირი ამოიღო და ახლა მიმდინარე წლის ოქტომბრის ანგარიშში იძლევა „შავ ოქროს“.

ვ. ცირკაიძე.

ცოცხალი მაიაკოვსკი

ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი თბილისში.

ქ. ქუთაისსა და მაიაკოვსკში 5, 6 და 7 ივლისს ეწყობა რევოლუციის დიდი ტრიბუნის ვლადიმერ მაიაკოვსკის შეოქმედებისადმი მიძღვნილი დღეები, რომლებშიც ქართველ მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის წარმომადგენლები

(მასალები ამის შესახებ იბეჭდება გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდზე).

მხოლოდ ღირსეული გახდება სტუდენტი

წორედ ამ სახელწოდებით გამოქვეყნდა გუშინწინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, დიდმნიშვნელოვანი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ჩვენი სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ჩვენი ხალხის მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა ხვალინდელი დღისათვის. სტუდენტი — ეს ხვალის სპეციალისტი, სახალხო მეურნეობის მართვის აქტიური მონაწილე და მეთაურია, საზოგადოების მოწინავე წევრია; მუშა, კოლმეურნე და მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად სტუდენტობა ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, მისი იმედი და მომავალია, სწორედ ხვალინდელმა სტუდენტებმა უნდა იღვაწონ XXI საუკუნეში.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ცხოვრებაში ყველაზე პასუხსაგები პერიოდია მისაღები გამოცდები. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ გახდება დღეს სტუდენტი — ღირსეული თუ უღირსი. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია სწორედ ამ კრიტერიუმით ხელმძღვანელობს, როდესაც ბოლო ექვსი-შვიდი წელიწადია არც ერთი დღით არ ტოვებს უყურადღებოდ საქმეს, რომელსაც ჰქვია წესრიგი უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, წესრიგი მისაღებ გამოცდებზე, რაც საერთო მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ერთ-ერთი კომპონენტია. ამ მიმართულებით მუშაობა დადებითად არის შეფასებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. როგორც ყოველთვის ბოლო წლების მანძილზე, ამას წინათაც, დიდად კეთილსინდისიერი ტრადიციისამებრ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიის ორგანიზებულად და სრული წესრიგით ჩატარებისათვის მზადებას მიეძღვნა.

გამოცდების დაწყებამდე 26 დღე დარჩა. ყოველი დღე და საათი საშურია ყოველივე იმის მოსამზადებლად, რაც კამპანიის მაღალორგანიზებულად ჩატარებას სჭირდება. თუ როგორ ჩატარდება გამოცდები, ეს დღის მწვავე პრობლემაა, შესაბამისი სამინისტროების, სასწავლებელთა რექტორატებისა და დირექციების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ღონისძიებით რომ უნდა გადაიჭრას იმ მოთხოვნათა დონეზე, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გვიყენებს. იგი უნდა ჩავთვალოთ ისე ორგანიზებულად, როგორც ეკადრება ჩვენ აღმავალ რესპუბლიკას, რომელსაც უმაღლესი განათლების სპეციალისტთა ხვედრითი წილით პირველი ადგილი უკავია ქვეყანაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს გასული წლის მაგალითებსა და გამოცდილებას, მათს გათვალისწინებას, რომ წელს უფრო დახვეწილი, ორგანიზებული იყოს მიღება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წლევანდელმა თათბირმა 1978 წელს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შესასვლელი გამოცდების შედეგები რომ გააანალიზა, ნათლად წარმოგვიხატა მიმღები და საგამოცდო კომისიების საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, განსაზღვრა მიმდინარე წლის გამოცდების მოწყობის ძირითადი ამოცანები, რომლებიც გამორიცხავს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს მისაღებ გამოცდებზე, სუბიექტურობასა და შემთხვევითობას აბიტურიენტთა ცოდნის შეფასებაში.

უეჭველია, წელსაც თავის დადებითს გამოხატულებას პოვებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის უკომპრომისო, თანამიმდევრული, პრინციპული ბრძოლა, რათა სრული წესრიგი დამყარდეს უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაკომპლექტებაში ღირსეული ახალგაზრდობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირის დოკუმენტში არის აღნიშნული მეტად დამაფიქრებელი, საგულისხმო გარემოება: თბილისის უნივერსიტეტში, საქართველოსა და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში 120 სპეციალობაზე ექსპერიმენტის სახით აბიტურიენტებმა, რომელთა სახკოლო ატესტატის საშუალო ქულა 4,5 იყო, მხოლოდ ორი საგანი ჩააბარეს, შემსვლელთა 42 პროცენტმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო. აქვე აღნიშნულია, რომ 86 მედალოსანი შესასვლელ გამოცდებზე ჩაიჭრა. მისაღებ გამოცდებზე ბოლო წლებში დამკვიდრებულ ნეგატიურ მოვლენებთან მკაცრი და შეუპოვარი ბრძოლა რომ არა, ხომ ბოროტება მოხდებოდა და ოროსანი მედალოსნები, ეს არადამაკმაყოფილებელი — 4,5 ქულიანი აბიტურიენტები სტუდენტები გახდებოდნენ!

რა ხელმა დაუწერა ოროსანს ხუთი და 4,5 ქულა? რა დგას ამ მაღალი ნიშნების უკან? — ცუდი მოსწავლეები და არანაკლებ ცუდი მასწავლებლები, ცუდი სკოლის დირექტორები და საკმაოდ შელახული პედაგოგიური სინდისი!

არც ის საქმე გამოიურება ლამაზად, რომ დმანისის რაიონიდან უმაღლეს სასწავლებლებში უკონკურსოდ ჩარიცხული 22 აბიტურიენტიდან, მხოლოდ სამი მუშათა და კოლმეურნეთა შვილი.

რამდენი მომავალი აგრონომი დაიკლეს ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, ყაზბეგის, ონის, ცაგერისა და წალკის, რამდენი ხვალის ზოოტექნიკოს-ვეტერინარი — ადგილის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისისა და ყაზბეგის რაიონებმა, როცა შესაბამისად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო სასწავლო-კვლევითის ინსტიტუტში შესასვლელად გამოყოფილი ადგილები ვერ ათავსეს, მერედა, როგორ სჭირდებათ მათ ასეთი სპეციალისტები! ალბათ ამ რაიონებიდან წამხდურმა აბიტურიენტმა ახალგაზრდებმა ჰუმანიტარულ ფაკულტეტებს მიაშურეს. აქ კი თითო ადგილზე პრეტენდენტთა რიცხვი ზოგჯერ 30-40-ს აღწევს და ძალზე კარგად მომზადებული ქალიშვილები და ბიჭუკებიც კი ვერ ხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში.

სახალხო მეურნეობას სჭირდება და განსაკუთრებით მომავალ უახლოეს ხუთწლედებში საქართველოში დასჭირდებათ პროგრესული დარგების სპეციალისტები, დარგებისა, უპირატესად რომ ვითარდება — მანქანათმშენებლობა, კერძოდ, საავტომობილო მრეწველობა, ელმავალმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა და მთელი რიგი სხვა პროგრესული მიმართულებანი; ასევე სპეციალისტთა დიდი რაოდენობა დასჭირდება რესპუბლიკას სოფლის მეურნეობაში, ესოდენ სწრაფი ტემპით რომ ვითარდება. საჭიროა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია; მათი სწორი ინფორმირება — სჯობს უკეთ მოემზადოს მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, და ჩაირიცხოს საინჟინრო-ტექნიკურ სპეციალობებზე, ვიდრე ვერ გავიდეს ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე კონკურსში.

რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მისდამი დაქვემდებარებული ტექნიკუმებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელებს, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, იმ საწარმოებსა და უწყებებს, რომლებისთვის ეს ტექნიკუმები და სასწავლებლები კადრებს ამზადებენ, განსაკუთრებული ყურადღება მართებთ, რომ აღარ განმეორდეს შარშან და უფრო ადრე დაშვებული დარღვევები და გადახვევები გამოცდებზე და მიღებაში.

მისაღები გამოცდები ახლოვდება. ეს დიდ მოვალეობას გვაკისრებს. იგი ორგანიზებულად, უნაკლოდ, დადგენილი წესების სრული დაცვით, მკაცრად და ამასთან ჰუმანურად უნდა ჩავატაროთ. დგება კიდევ ერთი პრობლემა — გამოცდებისა და მიღების იდეალურად ჩატარების დროსაც შეუძლებელია უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ყველა აბიტურიენტი ჩაირიცხოს. მაგრამ იმათ, ვინც კონკურსში ვერ გავა, გული არ უნდა გაიტეხონ, ჩაებან შრომის ფერხულში და ერთი ორი წლის შემდეგ განაგრძონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, თანაც შრომის სტაჟის მკონი უპირატესობა ექნებათ. წელსაც იმუშავებენ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიები.

უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში გამოცდები და მიღება დიდი სახელმწიფოებრივი, დიდი სახალხო და საზოგადოებრივი საქმეა. ამ დიდმნიშვნელოვანი პასუხსაგები კამპანიის ორგანიზებულად ჩატარებაში სრული წესრიგი უნდა იყოს!

გამოიცა სომხურ ენაზე

ერევანი, 3 ივლისი. (საკდესი). რესპუბლიკურმა სახელმწიფო გამომცემლობა „ჰაიასტანმა“ სომხურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის 55-ტომიანი „ სრულ კრებულის 21-ე ტომი. გამოცემას ახორ[illegible]ლებს სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი..

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უფრო აქტიურად გამოვიყენოთ საზოგადოებრივი აზრი კერძომესაკუთრულ ტენდენციათა წინააღმდეგ ბრძოლაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს მიერ კერძომესაკუთრულ ტენდენციათა არსის, გამოვლინების და გავრცელების მიზეზების მიმართ რესპუბლიკის მეზრომელთა პოზიციის შესწავლის შედეგებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური პროგრამის შემუშავების საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დებულებებით, ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული გადაწყვეტილებებით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით, დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის შრომებსა და გამოსვლებში, სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნებით, — რესპუბლიკის კომუნისტები ბიზანდასახულ მუშაობას ეწევიან შრომელთა დასაროზმავად რესპუბლიკის წინაშე მდგომი რთული სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადასაწყვეტად.

ამის შედეგად საგრძნობლად შემცირდა ეროვნული ეკონომიკური ეფექტიანობა ბოლო ათეული წლების მანძილზე არსებული ჩამორჩენა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცალკეული უნნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით, განმტკიცდა სახელმწიფო, საგეგმო და საფინანსო დისციპლინა, ძირეული ძვრები მოხდა ხალხის სულიერი ცხოვრების სფეროში.

საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსს, რომელმა მიზანია რესპუბლიკის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის სრული გაჯანსაღება, უკომპრომისო ბრძოლა ჩვენი საზოგადოებისათვის ანტიპოდური მოვლენებისა და მათი მატარებლების წინააღმდეგ, სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმების საყოველთაო დამკვიდრებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოქმედების სახელმძღვანელოდ მიიღო თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნა, რომ „ბეჯითი პოლიტიკური მუშაობა განსრულ კერძომესაკუთრული გადმონაშთებისა და სხვა უარყოფითი მოვლენების დაძლევისათვის, ყოველი ღონისძიებით ჩაუნერგონ ადამიანებს შეურიგებელი დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო შეხედულებებისა და ქცევისადმი. ამამაღლონ შრომითი კოლექტივების როლი წარსულის გადმონაშთების, მართლწესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია გულდასმით გაეცნო იმ საკითხთა არსში, რომლებიც უნდა გადაეწყვიტა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, და სწორად შეაფასა ის განსაკუთრებული საშიშროება, რასაც განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებას უქადის კერძომესაკუთრული სოციალურ-ფსიქოლოგიური და ნორმატიულ-ღირებულებითი განწყობა, რომელიც ანტისოციალისტურ მოქმედებათა დიდი უმრავლესობის მოტივია.

ამ ბრძოლაში მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად, კერძომესაკუთრული ტენდენციები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და კვლავ გამხრწნელ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის მორალურად მეტყველ ნაწილზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, აბრკოლებს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეემუშავებინა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების გრძელვადიანი, ვრცელი კომპლექსური პროგრამა. ამ ამოცანის რეალიზაციისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთელმა რიგმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ, სამინისტრომ და უწყებამ წინასწარი მუშაობა გაწიეს ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტის შესასწავლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის საბჭომ სპეციალური კვლევა მოაწყო რესპუბლიკაში კერძომესაკუთრული ტენდენციების არსისა და გავრცელების მიზეზების დასადგენად.

კვლევის მიზანი იყო დაედგინა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის აზრი ამ ნეგატიური მოვლენის გავრცელების პირობებისა და მიზეზების შესახებ, კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ბრძოლის შედეგიანობის თაობაზე; ხელი შეეწყო ამ ტენდენციათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავებისათვის და აღნიშნულ საკითხზე მშრომელთა მკაფიო კლასობრივი პოზიციის ჩამოყალიბების პროცესის სრულყოფისათვის.

საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად გამოყენებულ იქნა საანკეტო გამოკითხვა, საუბარ-ინტერვიუს მეთოდით გამოკითხვა, რესპუბლიკის მთელი რიგი რეგიონებში, ყველა ეროვნებისა და ასაკის ადამიანთა, ინტელიგენციის, ინჟინერ-ტექნიკოსთა, ფერმერთა, ბრიგადირთა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უფრო აქტიურად გამოვიყენოთ საზოგადოებრივი აზრი კერძოსაკუთრულ ტენდენციათა წინააღმდეგ ბრძოლაში

(დასასრული)

ონების, პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების მიერ გამოსაკვლევ მოვლენათა ექსპერტული შეფასებანი, კერძომესაკუთრულ ტენდენციათა წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და სახელმწიფო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემების, ანგარიშების ცნობა და ცნობების დოკუმენტური ანალიზი.

გამოკითხვის დროს შესწავლილ იქნა 2.680 კაცის აზრი: აქედან 683 მუშის, 464 კოლმეურნის, 622 მოსამსახურის, 376 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის, უმაღლესი სასწავლებლების 268 სტუდენტის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების 67 მოსწავლის აზრი.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის საერთოდ ახასიათებს სიმწიფე, კომპეტენტურობა ჩვენი საზოგადოებისათვის საშიშ კერძომესაკუთრულ ტენდენციათა კონკრეტული გამოვლინებების ანტისოციალისტური მიმართულების შეფასებაში, საკმარისი ინფორმირება ამ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და ეფექტიანობის, საზოგადოების სულიერი და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ, რესპუბლიკის მოსახლეობის იმ სხვადასხვა ფენის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის გაძლიერება, რომლებიც მხარს უჭერენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებათა შესასრულებლად.

გამოკვლევამ აგრეთვე ცხადყო, რომ რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიზანმიმართული და უკომპრომისო ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ასახავს კერძომესაკუთრული ტენდენციების ანტიხალხური და ანტისოციალისტური მიმართულების კლასობრივ შეფასებას, რომელიც მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებში, სკკპ პროგრამაში, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მასალებსა და გადაწყვეტილებებში, მომდევნო პარტიულ და სახელმწიფო დოკუმენტებში.

როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, მშრომელები უფრო ენდობიან და იზიარებენ ინფორმაციას, რომელსაც მათ აწვდიან ოფიციალური წყაროები: ტელევიზია, საბჭოთა რადიო, პრესა, აცნობენ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებზე, აგიტატორთა, პოლიტ-ინფორმატორთა საუბრებში, ლექციებზე, მრავალტირაჟიან გაზეთებში და პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში მიმდინარე მეცადინეობაზე, ვიდრე იმ ინფორმაციას, რომელსაც იღებენ ისეთი არაოფიციალური წყაროებიდან, როგორიც არის: ოჯახში, თანამშრომლებთან, მოსწავლე ამხანაგებთან, მეგობრებთან, ნაცნობებთან საუბრები, ჭორები თუ საზღვარგარეთის რადიოს გადაცემები. აშკარაა, რომ მხოლოდ საჭირო და დროული ინფორმაციის უქონლობა აიძულებს ადამიანებს დაუჯერონ ყოველგვარ ჭორებსა და მითქმა-მოთქმას.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას (94 პროცენტს) კარგად აქვს შეგნებული, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს უქადის კერძომესაკუთრული ტენდენციები საბჭოთა ცხოვრების წესს. მათი აზრით, რესპუბლიკაში კერძომესაკუთრული ტენდენციების სხვადასხვა გამოვლინებათა შორის ყველაზე მეტად არის ფეხმოკიდებული სპეკულაცია, მექრთამეობა და გამოძალვა, მომხმარებელთა ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუება, სოციალისტური საკუთრების დატაცება, ქორწილებში, ნათლობებსა და ქელეხებში დიდ ფიფინების შეგროვება. ამ შეფასებათა კომპეტენტურობას ძირითადად დოკუმენტური მონაცემების ანალიზიც ადასტურებს.

კერძომესაკუთრულ ტენდენციათა გამძლეობის მიზეზად გამოკითხულ პირებს მიაჩნიათ ის, რომ დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ ადმინისტრაციული ორგანოები, საკონტროლო-სარეგიზიო სამსახურები, რომ ნაკლოვანებანია იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში, შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების ორგანიზაციაში.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ჯერ კიდევ გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ სათანადო ბრძოლას არ აწარმოებენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები.

განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ კერძომესაკუთრულ ტენდენციებს ბევრი გმობს, მაგრამ, ამავე დროს ამ ტენდენციების წინააღმდეგ ცოტა თუ იბრძვის აქტიურად.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელი კადრების ინტერვიუს მეთოდით გამოკითხვამ ცხადყო, რომ მათი ნაწილი, სუსტად ერკვევა კერძომესაკუთრულ ტენდენციათა წინააღმდეგ ბრძოლის არსსა და გზებში, ნაკლებად კრიტიკულ პოზიციას ადგას ორგიათ მუშაკებთან შედარებით. ზოგიერთი ხელმძღვანელის პასუხში შეიმჩნევა ტენდენცია, მიჩქმალონ ნეგატიური მოვლენები თვიანთი საქმიანობის სფეროში და შეალამაზონ სინამდვილე.

როგორც კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, კერძომესაკუთრულ ტენდენციათა გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის შემაფერხებელი პირობა — სოციალური პასიურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ფორმალიზმი, პარტიული ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა რგოლის სუსტი მუშაობა, ხარვეზები და შეცდომები.

კვლევამ გამოავლინა აგრეთვე, რომ შრომითი კოლექტივების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კრებები სუსტ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, ამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელთა დარაზმვის საქმეში.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე 1979 წლის 26 ივნისს, კერძომესაკუთრულ ტენდენციებად გულისხმობენ მოქალაქეთა იმ ნაწილის უკანონო ანტისაზოგადოებრივ შეხედულებებსა და მოქმედებას, რომელიც თავს არიდებს სოციალიზმის ობიექტურ და ნორმატიულ კანონებს შრომის მიხედვით განაწილების შესახებ. ცდილობს უშრომლად მიიღოს შემოსავალი სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი სოციალისტური საკუთრების გამოყენების გზით პირადი მოგებისა და სხვა ანგარებითი მიზნების მისაღწევად.

გაითვალისწინა რა ყველა ეს მომენტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია ფართო ფრონტით გაეაზოლს ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და მათი კონკრეტული მატარებლების წინააღმდეგ, მიაღწიოს იმ მიზნების აღმოფხვრას, რომლებიც წარმოშობს და ხელს უწყობს აღნიშნულ ტენდენციათა გავრცელებას.

ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს, შემოქმედების კავშირებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაავალა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და ამასთან საითვალისწინონ შექმნილი საზოგადოებრივი აზრი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ნ. ენუქიძის თავმჯდომარეობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კერძომესაკუთრულ ტენდენციათა წინააღმდეგ ბრძოლის გეგმას, შეათანხმებს და უხელმძღვანელებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ამ გეგმის განხორციელებას. (საქინფორმი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ — ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲜᲓᲝᲑᲐ, ᲐᲡᲣᲤᲗᲘᲡᲜᲘᲛᲔᲚᲝᲑᲐ

სიტყვისა და საქმის ლოგიკა

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ძალიან ხშირად ვიმეორებთ ხოლმე იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანის გონება და მარჯვენაა წარმატების ფუძის ჩამყრელიც და მარცხის მიზეზიც. ამიტომ სწორედ ადამიანებთან, კადრებთან სწორი მუშაობა ჩვენი უპირველესი ამოცანაა.

დღეს, როცა სულ ცოტა ხანი დარჩა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმამდე, რომელიც კადრებთან მუშაობის საკითხს მიეძღვნება, არ შეიძლება თითოეული ჩვენგანი ერთხელ კიდევ არ ჩაფიქრდეს, ღრმად არ გაანალიზოს გაწეული მუშაობა, რა გაკეთდა და როგორ, რა ვერ მივიდა ბოლომდე და, რაც თავადაა, რა უნდა იქცეს მომავალში ჩვენი მუშაობის ღერძად.

რესპუბლიკის კომუნისტების წინაშე ყოველთვის უდიდესი მაშტაბების და მნიშვნელობის ამოცანები დგას ხოლმე, რომელთა შესრულებისათვის ბრძოლაში იწრთობიან კადრები, ყალიბდება მათი ხასიათი, იზრდება პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა. ეს შემდეგში გამოხატულებას პოულობს მათს საქმიანობაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა შრომითს კოლექტივში სულ უფრო მაღლდება პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და ავტორიტეტი. ამაში მცირე წვლილი როდი შეაქვს საოლქო პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის გაწეულ მუშაობას, სკკპ რიგებში შემსვლელებისადმი მომთხოვნელობის ამაღლებას.

უკანასკნელ სამ წელიწადში საოლქო პარტორგანიზაცია 1566 კაცით გაიზარდა. ფრიად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ სკკპ წევრობის კანდიდატებად მიღებულთა 80 პროცენტი მუშები და კოლმეურნეები არიან პარტიის რიგების ახალი შევსების უმეტესობა კომკავშირელები გახლავთ. პარტიაში შემსვლელთა შორის გაიზარდა აგრეთვე ქალების ხვედრითი წილი. თუმცაღა, უნდა ითქვას, რომ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში მუშათა ბირთვის გამაგრება კვლავ მომავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება.

პარტიის წევრთა რიცხობრივ ზრდას ახლავს პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების, პარტჯგუფების ქსელის გაფართოება. ეს საშუალებას გვაძლევს უშუალო და სისტემატური გავლენა ვიქონიოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის თითქმის ყველა მონაკვეთზე. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა და რაიკომებმა უკანასკნელ ხანს გააძლიერეს ძირეული პარტიული რგოლებისადმი ყურადღება, მეტად ზრუნავენ მათი ავტორიტეტისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

პარტიის გულრფშის რაიკომმა არსებითად გარდაქმნა მუშაობა. აქ კარგად გაიგეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რაიონული პარტიული ორგანოს შესახებ და შესაბამისად შეცვალეს მოღვაწეობის სტილი და მეთოდები, რის შედეგადაც რაიონში შეიქმნა პრინციპული, მაღალი ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერო.

შექმნილი მდგომარეობის ღრმა და ობიექტიური ანალიზი გახდა იმის საფუძველი, რომ საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტმა მოკლე დროში შეძლო შესამჩნევად გაეუმჯობესებინა პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება.

პარტიის გუდაუთის რაიკომის მუშაობაშიც იგრძნობა დადებითი ტენდენციები, რაც უთუოდ „აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების დებულებათა სწორად გაგებამ და განხორციელებამ განაპირობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომმა საჭირო დასკვნები გამოიტანა კადრებთან მუშაობის თაობაზე პარტიის საოლქო კომიტეტის დადგენილებიდან და განახორციელა კიდეც შესაბამისი ღონისძიებანი დაკისრებული მოვალეობისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ამანაც, უეჭველია, უზრუნველყო რაიონის გამაჯვება 1978 წლის რესპუბლიკური სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პარტიის საოლქო კომიტეტი, გარდა იმისა, რომ კოორდინაციას უწევს და ერთიან მიმართულებას აძლევს ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიმდინარეობას, განუწყვეტლივ უნდა აუმჯობესებდეს თავის მუშაობას დასახული ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების დარაზმვისათვის. უპირველესად ეს არის კოლეგიურობის პრინციპის დაცვა კადრების შერჩევაში, აღზრდასა თუ განაწილებაში, დასაწინაურებელი ამხანაგების საქმიანი, პოლიტიკური თუ მორალური თვისებების ზედმეწევნით შესწავლა, მისწრაფება ხელმძღვანელი კადრების სტაბილიზაციისაკენ, ფაქტიურად, ეს ეხება ... [illegible] ... ბის, ... [illegible] ... ბის, ... [illegible] ... ბის,

დედამიწის ზურგზე

ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲘ

ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

□ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

ᲒᲐᲛᲝᲥᲐᲩᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ
ᲐᲠ ᲛᲝᲕᲐ ᲛᲘᲡᲘᲗ,
ᲜᲣ ᲒᲐᲧᲣᲩᲓᲔᲑᲘᲗ.
ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲚᲝᲗ
ᲖᲝᲛᲔᲑᲘ
ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ.
ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ,
ᲓᲐᲘᲗᲠᲘᲔ
ᲚᲐᲧᲣᲩᲔᲑᲘᲗ,
ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲝ,
ᲙᲣᲓᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ
ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ.
ᲙᲝᲛᲣᲜᲐ
ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ
ᲖᲚᲐᲪᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ,
ᲠᲝᲛ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲮᲛᲝᲗ
ᲝᲪᲜᲔᲑᲐ
ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ.
ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲔ,
ᲣᲛᲘᲖᲜᲔ,
ᲘᲤᲘᲥᲠᲔ,
ᲘᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔ,
ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔ
ᲡᲣᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ.
ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ
ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡ,
ᲘᲒᲘ ᲝᲤᲚᲨᲘ ᲪᲣᲠᲐᲕᲡ
ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ-
ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲨᲘ.
ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲛᲝᲑᲔᲑᲨᲘᲪ
ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲘᲬᲕᲘᲡ,
ᲡᲣᲤᲠᲐᲡᲗᲐᲜ,
ᲧᲝᲤᲐᲨᲘ,
ᲝᲯᲐᲮᲨᲘ,
ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.
ᲓᲐ ᲕᲘᲜᲪ
ᲭᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ:
ᲣᲬᲛᲐᲬᲣᲠᲘ
ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ,
ᲓᲐᲣᲨᲝᲗᲐᲕᲘ ᲣᲠᲛᲘᲕᲘᲗ
ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘ
ᲓᲐᲒᲚᲔᲯᲐᲑᲓᲐ,
ᲑᲐᲚᲐᲚᲐᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐᲖᲔ
ᲕᲘᲡᲐᲪ
ᲩᲐᲔᲫᲘᲜᲔᲑᲐ,
ᲣᲡᲣᲡᲣᲠᲘᲐ
ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ
ᲦᲘᲠᲡᲘᲪ
ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ.
ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ
ᲢᲧᲕᲘᲐᲛᲤᲠᲩᲕᲔᲕᲘᲡ
ᲒᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ,
ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ
ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ
ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲐ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ
ᲛᲔᲨᲩᲐᲜᲝᲑᲐ
ᲝᲯᲐᲮᲨᲘ
ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ
ᲒᲕᲔᲣᲛᲣᲠᲩᲔᲑᲐ.
ᲕᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ
ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐ
ᲝᲯᲐᲮᲨᲘ
ᲨᲔᲛᲝᲛᲢᲔᲕᲐᲡ
ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘᲡ
ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ
ᲒᲐᲚᲐᲚᲔᲑᲣᲚᲐ,
ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ, ᲓᲘᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ
ᲢᲧᲣᲘᲚᲐ
ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ,
ᲘᲒᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲐᲛᲓᲔ
ᲐᲠ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲣᲚᲐ.
ᲥᲣᲠᲥᲘᲐ ᲰᲒᲐᲕᲡ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲬᲕᲘᲡ,
ᲧᲝᲤᲐᲨᲘ,
ᲝᲯᲐᲮᲨᲘ,
ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.
ᲓᲐ ᲕᲘᲜᲪ
ᲭᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ:
ᲣᲬᲛᲐᲬᲣᲠᲘ
ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ,
ᲓᲐᲣᲨᲝᲗᲐᲕᲘ ᲣᲠᲛᲘᲕᲘᲗ
ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘ
ᲓᲐᲒᲚᲔᲯᲐᲑᲓᲐ,
ᲑᲐᲚᲐᲚᲐᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐᲖᲔ
ᲕᲘᲡᲐᲪ
ᲩᲐᲔᲫᲘᲜᲔᲑᲐ,
ᲣᲡᲣᲡᲣᲠᲘᲐ
ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ
ᲦᲘᲠᲡᲘᲪ
ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ.
ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ
ᲢᲧᲕᲘᲐᲛᲤᲠᲩᲕᲔᲕᲘᲡ
ᲒᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ,
ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ
ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ
ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲐ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ
ᲛᲔᲨᲩᲐᲜᲝᲑᲐ
ᲝᲯᲐᲮᲨᲘ
ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ
ᲒᲕᲔᲣᲛᲣᲠᲩᲔᲑᲐ.
ᲕᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ
ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐ
ᲝᲯᲐᲮᲨᲘ
ᲨᲔᲛᲝᲛᲢᲔᲕᲐᲡ
ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘᲡ
ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ
ᲒᲐᲚᲐᲚᲔᲑᲣᲚᲐ,
ᲓᲘᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ
ᲢᲧᲣᲘᲚᲐ
ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ,
ᲘᲒᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲐᲛᲓᲔ
ᲐᲠ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲣᲚᲐ.
ᲥᲣᲠᲥᲘᲐ ᲰᲒᲐᲕᲡ
ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ

ოსტატობის სამჭედლოდ!

• თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი

ისევე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, საქართველოშიც ბევრი სპეციალიზაციური ჟურნალისტი მოღვაწეობს პრესაში, მათი უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებამ აღზარდა.

ახალი სასწავლო წლიდან ჟურნალისტიკის კათედრის ბაზაზე თბილისის უნივერსიტეტს კიდევ ერთი — ჟურნალისტიკის ფაკულტეტი შეემატება.

აღსანიშნავია, რომ საკავშირო მასშტაბით მხოლოდ სამ უნივერსიტეტს აქვს ჟურნალისტიკის სპეციალობით დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება. მათ შორის თბილისის უნივერსიტეტიც არის.

უკვე შეიქმნა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო, არჩეულია ფაკულტეტის პირველი დეკანი. მუშაობას შეუდგნენ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ბ. დურგლიშვილი შეხვდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დავით გამეზარდაშვილს და სთხოვა მკითხველებისათვის ეამბნა ამ ახლად შექმნილი ფაკულტეტის სიახლეთა შესახებ.

— ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების ბაზაზე ფაკულტეტის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია იმ ღონისძიებებით, რომლებსაც სახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „ჟურნალისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა“ შესახებ“. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობას და უნივერსიტეტის რექტორატს. ამჟამად მომავალ ჟურნალისტთა სასწავლო გეგმები უკვე ბევრად განსხვავდება ფილოლოგიის ფაკულტეტის სასწავლო გეგმებისაგან. დღეს ცხოვრება ჟურნალისტებს, ჩვენი პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკებს დიდ მოთხოვნებს უყენებს. ამას კიდევ ერთხელ განსაკუთრებული ყურადღება ვთმობა „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დღის და საღამოს დასწრებული განყოფილებების ქართულ და რუსულ სექტორებზე ამჟამად სამასამდე სტუდენტი სწავლობს, მომავალი წლიდან ნავარაუდევია გაიზარდოს მიღება დღის დასწრებული განყოფილების ქართულ სექტორზე. ეს ტელე-რადიო ჟურნალისტიკის სპეციალობის შექმნის აუცილებლობით არის გამოწვეული, შესაბამისად გაიზრდება პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვი. მიღების წესებში ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. კვლავ გაგრძელდება წინა საგამოცდო შემოქმედებითი კონკურსის პრაქტიკა. დაარსდა სამი კათედრა — ჟურნალისტიკის ისტორიის, პარტიული საბჭოთა პრესის თეორიისა და პრაქტიკის, ტელე-რადიო ჟურნალისტიკის კათედრები. გვექნება ერთი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (მასობრივი ინფორმაციის შესწავლის ლაბორატორია), ორი სასწავლო ლაბორატორია (პოლიგრაფიული, ფოტო) და ჟურნალისტური ტექნიკის კაბინეტი..

რაც შეეხება კურსდამთავრებულთა განაწილებას, ამ საქმეში არსებულ სერიოზულ დაბრკოლებათა აღკვეთას დიდად შეუწყობელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 16 ივნისის დადგენილებამ ჟურნალისტთა ახალგაზრდა კადრების განაწილების შესახებ. დღისათვის კურსდამთავრებულნი ძირითადად უზრუნველყოფილი არიან სამუშაო ადგილით. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ზოგიერთი მათგანი უარს აცხადებს რაიონში სამუშაოდ წასვლაზე. ამ ბარიერის დაძლევა უახლოეს მომავალში მოგვიხდება.

უფრო გაფართოვდება ჩვენი კონტაქტები როგორც მოსკოვის, ისე სხვა ქალაქების უნივერსიტეტებთან. რაც შეეხება ჟურნალისტთა კადრების დაოსტატებისა და პროფესორ-მასწავლებელთა მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, ამ მიმართულებით ჩვენ საკმაო ტრადიციები გვაქვს. იმის გარდა, რომ ჩვენი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო წრეებში, მათ შესაძლებლობა აქვთ თავიანთი პროფესიული უნარი გამოავლინონ სასწავლო ჟურნალებში. სხვა უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის ფაკულტეტებისაგან განსხვავებით ჩვენს ფაკულტეტზე ხომ სასწავლო გაზეთებთან ერთად სასწავლო ჟურნალიც გამოდის.

უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდება ჩვენი ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბის „რეპორტიორის“ მუშაობა.

როგორც რესპუბლიკის იდეოლოგიის დარგის მუშაკთა აქტივის კრებაზე აღინიშნა, ჟურნალისტიკა უნდა სწავლობდეს მოვლენათა სოციალურ არსს, აანალიზებდეს და აკრიტიკებდეს ზნეობრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციიდან.

ცხადია, უკეთესი პირობები შეიქმნება იმისთვის, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები უფრო მომზადებული გაეიდნენ ცხოვრების დიდ გზაზე. გაძლიერდება მათი სამეცნიერო, შრომითი და ზნეობრივი წრთობა. მომავალ სპეციალისტებს იმ მისწრაფებებს ჩავუნერგავთ, რომლებიც საჭიროა ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის ყოველი აქტიური მიზნის ხორცშესხმისათვის.

„ქართველი ბავშვების მზიური ხელოვნება“

ასეთი სათაური ჰქონდა დასავლეთ გერმანიის გაზეთ „დიტცენბახ შტადტ პოსტის“ რეცენზენტის სტატიას, რომელიც ქალაქ დიტცენბახში ნორჩ ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლის შემდეგ დაიბეჭდა. რეცენზენტი გამოხატავს თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის მოცეკვავეთა ანსამბლის ხელოვნებით გამოწვეულ აღფრთოვანებას. ან კიდევ რამდენიმე ფრაზა პრესის გამოხმაურებებიდან: „ეს მაღალი კლასია“, „ქართველმა ბავშვებმა მოგვაჯადოეს“, „საოცრება საბჭოთა კავშირიდან“.

ათი დღის მანძილზე საქართველოს სახალხო არტისტების, ცნობილი ქორეოგრაფების ფ. სულაბერიძისა და ი. დოლაბერიძის აღზრდილები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რვა დიდ ქალაქში გამოვიდნენ და ყველგან ნორჩ ქართველ მოცეკვავეთა ხელოვნებას აღფრთოვანებით ზვდებოდა მაყურებელი.

სულ სამი წელია არსებობს მოსწავლეთა ეს ანსამბლი, მაგრამ ამ მოკლე დროში მან ფართო პოპულარობა მოიპოვა.

(საინფორმრმ).

სანამ ფარდა აიხდებოდეს

დაბადება

თბილისში, ლენინის სახელობის რაიონში შეიქმნა ახალი დრამატული თეატრი

რედაქციაში მოვიწვიეთ ახალი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი **ლერი პაქსაშვილი** და ინტერვიუ ვთხოვეთ:

— დიახ, თეატრი შეიქმნა, ოღონდ ისე არ გაგვიგოს მკითხველმა, თითქოს უკვე სპექტაკლებს ვუჩვენებდეთ, — გვეუბნება იგი.—თეატრი კი დაარსდა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დადგენილებით და 17 მაისიდან დაითვლის თავის არსებობას, მაგრამ ვინაიდან ახალი თეატრი ფაქტიურად ცარიელ ადგილზე იწყებს მუშაობას, მას მისცეს საშუალება სეზონამდე შექმნას მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაკომპლექტდეს მსახიობებითა და რეჟისორებით, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალით.

— მაინც რამ განაპირობა ახალი თეატრის შექმნა?

— მოგახსენებთ, ლენინის რაიონი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი დასახლებაა, სადაც ამჟამად 280 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს. ეს ციფრი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, ბუნებრივია, რაიონის კულტურული მომსახურების კიდევ უფრო ამაღლების საკითხიც დადგა. გადაწყდა შექმნილიყო ახალი თეატრი. ცნობილია, რომ ამ რაიონს თავისი თეატრალური ტრადიციები აქვს.

— შენობა თუ გაქვთ, ან დასი როგორ დაკომპლექტდება?

— ჯერჯერობით გლდანის მასივში, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის კულტურის სახლის რეკონსტრუირებულ შენობაში ვიმუშავებთ, დასში კი ძირითადად თეატრალური ინსტიტუტის ახალგაზრდა კურსდამთავრებულები იქნებიან. თუმცა, რა თქმა უნდა, უფროსი თაობის მსახიობებიც გვეყოლება.

— რეპერტუარზე რას იტყოდით?

— ახალი თეატრი შეეცდება რეპერტუარში ძირითადად ქართული ორიგინალური პიესები და, რა თქმა უნდა, საბჭოთა და საზღვარგარეთელ ავტორთა საუკეთესო დრამატული ნაწარმოებებიც ჰქონდეს. ჩვენი მიზანია დედაქალაქის ამ რაიონში შექმნათ საკუთარი თეატრალური ცხოვრება. ასე რომ, ჯერჯერობით დიდი მზადება გვაქვს და პირველ სპექტაკლს მომავალი წლის 14 ივნისს, ქართული თეატრის დაბადების დღეს ვუჩვენებთ მაყურებელს.

— გამარჯვება გვისურვებია!

— გმადლობთ!

სტუმარს ესაუბრა
ვ. მარდალეიშვილი.

„ფიზიკურ-ტექნიკური“ ბანაკი

... ...